

შპს აი სი ტი-ს ფინანსური ანგარიშგება 2023 წელი ს/კ 428521209

ფინანსური მდგომარეობა შპს აი სი ტი

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1231168	1250256	1979828
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	747163	1051892	255764
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1276741	850446	949420
მარაგები	2000014	1360362	4381579
მზა პროდუქცია	0	0	
სხვა	2000014	1360362	4381579
საინვესტიციო ქონება	0	0	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	597352	329363	1487266
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	
ძირითადი საშუალებები	135516	115372	88538
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	
სულ აქტივები	5987954	4957691	9142395
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	
სავაჭრო ვალდებულებები	402884	537847	48292
ანარიცხები	2747693	1189168	9334325
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	700	0	
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	
სხვა ვალდებულებები	0	0	
სულ ვალდებულებები	3151277	1727015	9382617
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი'			
კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2836677	3230676	-240222
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	
სულ საკუთარი კაპიტალი	2836677	3230676	-240222
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5987954	4957691	9142395
სულ მოკლევადიანი აქტივები	5852438	4,842,319	9053857
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	3151277	1727015	9382617

დირექტორი გ.წიწრიაშვილი



საქმიანობის შედეგები შპს აი სი ტი

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	3424702	12273680
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	3424702	12273680
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-2340148	-7822909
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1084554	4450771
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	6
დასაქმებულთა ანაზღაურება	-153122	0
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-32520	-33301
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-396673	-252462
სულ საოპერაციო ხარჯები	-582315	-285757
საოპერაციო მოგება	502239	4165014
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-24411	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		
განგრძობითი ოპერაციებიდან	477828	4165014
მოგების გადასახადის ხარჯი	-130774	0
	347054	4165014
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
	347054	4165014
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-741053	-694116
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2836677	3230676

დირექტორი გ. წიწრიაშვილი



ფულადი სახსრების მოძრაობა	31.12.2023	31.12.2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	10695297	12077267
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-10714385	-12806839
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-19088	-729572
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1250256	1979828
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1231168	1250256

დირექტორი გ.წიწრიაშვილი



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს აი სი ტი **428521209** მისამართი: საქართველო თბილისი დიდუბის რაიონი დავით ბაქრაძის ქუჩა N 4 ბინა 12 ;საქმიანობის სახე: წყალგაყვანილობის გათბობის და ჰაერის კონდიციონერების სისტემების მონტაჟი;რეგისტრაციის თარიღი: 20/11/2017
დღგ-ს გადამხდელია(დან) 28/12/2017
2022 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით
მესაკუთრე წილი გიორგი წიწრიაშვილი 100%

2. მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შემდგომში მსს სტანდარტის შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ საგანგებოდ სხვა რამე არაა მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით ძირითად საშუალებებად კლასიფიცირებული შენობების სხვა მანქანა დანადგარების სამართლიანი ღირებულებით შეფასებული წარმოებული ფინანსური

ინსტრუმენტების გარდა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში თუ საგანგებოდ არ არის სხვა რამე მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

საწარმოს მოქმედი ვალუტა არის და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“ რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ქართულ ლარებში ოპერაციის დღისთვის დადგენილი კურსების შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში დომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ლარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად.

საკუროს სხვაობებიდან მიღებული ფინანსური შედეგი აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როდესაც ის წარმოიშვა.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31.12.2022	31.12.2023
ევრო	2.8844	2.9753
აშშ დოლარი	2.7020	2.6894

ამონაგების (შემოსავლის) აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ ამოუღებელი თანხა ანუ თანხა რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაშითუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებარაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სადრიცხო პერიოდის განმავლობაშიმასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ფინანსური აქტივები

მსს სტანდარტის 11 განყოფილების შესაბამისად ფინანსური აქტივები შესაბამისად კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად სესხებად და მისაღებ ანგარიშებად ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად.

ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ

აქტივების შემთხვევაში რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი პირველადი აღიარებისას. კომპანიას არ აქვს გასაყიდად გამიზნული ან სამართლიანი ღირებულებით აღიარებული და მოგებაში ან ზარალში აღიარებული

ფინანსური აქტივები. ინვესტიციების კლასიფიკაცია დამოკიდებულია მათი შეძენის ან წარმოშობის მიზანზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვები

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს გაუფასურდა თუ არა ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი ზარალის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის (გარდა სამომავლო დანაკარგების კრედიტზე რომლებსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია) რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. გაუფასურების ზარალის ოდენობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. კომპანია ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში აფასებს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ დადგინდა რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს ეს აქტივი შევა მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ფინანსური აქტივების ეს ჯგუფი გაუფასურებასთან მიმართებაში ფასდება ერთობლივად.

აქტივები რომელთა გაუფასურება ფასდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება არ შედის გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების ერთობლივად შეფასების პროცესში. თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების შემდეგ მომხდარ მოვლენას ხდება მანამდე აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი შემოზღუდვის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ისე რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს მის ამორტიზებულ ღირებულებას შემოზღუდვის თარიღისთვის.

უიმედო აქტივი ჩამოიწერება გაუფასურების შესაბამისი რეზერვიდან ყველა საჭირო პროცედურის ჩატარებისა და ზარალის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან თუ შესაძლებელია ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის) აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ როდესაც დგება შემდეგი პირობები:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;

- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება ან დაიტოვა ამგვარი უფლება მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და

- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება მონაწილეობის შენარჩუნების პირობით. მონაწილეობის შენარჩუნება რომელსაც აქვს ერთგვარი გარანტიის ფორმა გადაცემულ აქტივზე რომელიც ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგებაში ან ზარალში არ გაიქვითება თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით. კომპანიას არ გაუქვითავს თავისი აქტივები და ვალდებულებებიან შემოსავალი და ხარჯები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები - ბალანსზე თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელია რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ როდესაც აქტივი ვარგისია

გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და

ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი სასარგებლო მომსახურების	ვადა	(წელი)
შენობები და ნაგებობები		30-50
მანქანა დანადგარი		10-15
ავეჯი კომპიუტერი ტელეფონი		5
სატრანსპორტო საშუალებები		8
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (თვითღირებულების მუხლში)		

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური

საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები პრემიები ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

გადასახადი

გადასახადების გაანგარიშება და გადახდა განხორციელდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით და აისახა ანგარიშგებაში საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები გათვალისწინებულია ეკონომიკური საქმიანობის უფლების მქონე ერთეულების მიერ აქტივების და ვალდებულებების შეფასებისას.

მოგების გადასახადი

საზოგადოება მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981 მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. საზოგადოება საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას

რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

ანარიცხები პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში თუ კომპანიას აქვს რწმუნება რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან.

კომპანიაში ანარიცხები აღიარდება როდესაც:

კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;

სავარაუდოა რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;

შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები

რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად კომპანია აფასებს ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ მაგრამ იგი თვლის რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

საკუთარი კაპიტალი

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში რაც კომპანიის წარსადგენი ვალუტა და კომპანიის ყველა კომპონენტის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით.

1.ფული	31.12.2023	31.12.2022
სალაროში	194 002	511 685
რეზიდენტ ბანკი ლარი	792 701	583 537
რეზიდენტ ბანკი ვალუტა	244 465	155 034
სულ	1 231 168	1 250 256

2.მოთხოვნები	31.12.2023	31.12.2022
შპს თაბორი რიზორტსი	39 202	34 29602
შპს აქვა სერვის კომპანი	27 976	000
შპს მენო ინტერნეიშნლ	19 831	44 83062
შპს ორბი ჯგუფი	85 875	124 02209
შპს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი - შპს კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	60 031	59 41593
შპს ალიანსი	37	34 45171
შპს ალიანსი ფრივილიჯი	54 215	10 56636
შპს ანაგი დეველოპმენტი 1	77 150	000
შპს დომსონს ინჯინიარინგ	135 217	131 08582
შპს მეპერსი	-	249 39138
შპს ჯი აი სი	34 139	000
დანარჩენი ჯამი	213 490	363 832
სულ	747 163	1 051 892

3.ავანსები გადახდილი	31.12.2023	31.12.2022
შპს MAGNIUM+	12964	170
შპს NTS	44 601,48	44 601,48
შპს თერმოქულ იქსი	98 541,88	98 541,88
Dimak Makine Sanayi ve Ticaret Lt\d. Sti.	48 655,08	0
შპს მეპ კად	22 045,00	22 045,00
შპს სოლი	2 448,00	3 361,00
შპს ძლევი	6 450,80	0
VIESSMANN	130 575,35	0
შპს BERLEY GEO TRANS	11 619,99	10 456,64
შპს გ მ ვ +	88 042,20	88 042,20
შპს ალუ-ტექ მომსახურება	75 680,46	75 680,46
შპს სმარტ უნიონ	30 775,25	0
TYCO (თურქეთი)	36 037,22	36 608,60
KESSEL	58 910,94	0
ООО "ИВС"	16 470,40	0
Dimak Makine Sanayi ve Ticaret Lt\d. Sti.	48 655,08	0
შპს ორისაბა	4 243,00	0
სხვა	540 024,87	470 938,74
სულ	1 276 741,00	850 446,00

4.მარაგები	31.12.2023	31.12.2022
„ანსულექსის“ თხევადი რეაქტივი, 3 გალონი (1 1.4 ლიტრი)	17 862	12 270
120 ლიტრიანი FM-200 კონტეინერი 25 ბარი(TPED)	24 756	-
3-გალონიანი ავზი, გადამყვანითა და სიფონით (უჟანგავი ლითონი) R-102	18 519	11 837
FM200 გაზი 1 kg	32 157	-
MGBL-F250W/RN1 ჩილერი	137 881	-
MKT3-300FG30 ფანკოილი	34 068	-
Multi-split სისტემის გარე ბლოკი სამონტაჟო კომპლექტით, სიმძლავრით 10,0 kw	13 960	-
Multi-split სისტემის დასაკიდი შიდა ბლოკი სამონტაჟო კომპლექტით და მართვის პულტით სიმძლავრით 4.5 kw	13 342	-
Multi-split სისტემის დასაკიდი შიდა ბლოკი სამონტაჟო კომპლექტით და მართვის პულტით,სიმძლავრით 3.5 kw	56 396	-
ბენზინი	44 070	26 037
დიზელის საწვავი	31 836	20 969
ელ. ქურო: დ.200 მმ	26 856	25 241
კაუჩუკის იზოლაცია წებვადი PA-FLEX 13მმ*1200მმ 16,8 მ2	18 566	-
მექანიკური გამომშვები მექანიზმი	30 411	19 861
მილი Ø 160 მმ	35 249	39 684
მილი: Ø 110 მმ	38 486	50 837
მილი: Ø 200 მმ	21 935	29 634
სავენტილაციო დანადგარი PKC60 TY,UKS-010 TISO (AHU-4)	13 805	-
სავენტილაციო დანადგარი PKC60 TY,UKS-010 TISO (AHU-5)	13 602	-
სავენტილაციო დანადგარი PKC60 TY,UKS-020 TISO (AHU-3)	31 116	-
სავენტილაციო დანადგარი PKC60 TY,UKS-025 TISO (AHU-1)	32 125	-
სავენტილაციო დანადგარი PKC60 TY,UKS-040 TISO (AHU-2)	46 600	-
სავენტილაციო ჰაერსატარი ფურნიტურით	16 907	-
უჟანგავი მილი SS 3/8" 2 mm	18 597	6 795
ფიტინგი Solvent: დ. 110 მმ დ. 1=110 მმ დ. 2=75 მმ	19 517	9 691
ქაფის ავზი 136 ლ	29 930	-
ჩამკეტი სარქველი / *003Z8321 AB-QM DN 15 w/o TP, KG	17 670	-
ხანძარმედეგი პანელი FB750 4HR BATT 50 MM	19 823	21 489
დანარჩენი მასალები	1 143 973	
		1 086 017
სულ	2 000 014	1 360 362

5.ძირითადი საშუალებები	ავჯი და ოფისის აღჭურველობა	სპეცინვენტარი	სატრანს პორტო საშვ	სხვა	სულ
31					
დეკემბერი	24 741	30 580	31 981	1 237	88 538
2021					
შემოსვლა	37 543	22 592			60 135
გასვლა					0
ცვეთა	8 897	15 966	7 946	492	33 301
31					
დეკემბერი	53 387	37 206	24 034	745	115 372
2022					
შემოსვლა		52 664			52 664
გასვლა					0
ცვეთა	8 008	16 885	7 135	492	32 520
31					
დეკემბერი	45 379	72 985	16 899	253	135 516
2023					

6.მომწოდებელი	31.12.2023	31.12.2023
შპს აქვა სერვის კომპანი	3 615	9 615
შპს ელექტრონი	49 414	49 444
შპს თორი (უჟანგავი მასალა)	485	8 775
შპს კოპოს ელექტრო	5 125	0
შპს კუბიკი	5 335	0
შპს ორისაბა	4 243	0
შპს სეიფთი ქორფ	500	4 000
შპს ძლევი	7 600	0
GEBERIT	42 234	13 281
rohr-werkzeug.de	3 434	0
TYCO (თურქეთი)	0	42 661
WILO SE	13 954	5 454
შპს ალუ-ტექ მომსახურება	52 098	52 799
შპს გ მ ვ +	63 854	64 572
შპს არამექს ჯორჯია	4 148	3 965
შპს ბალჯიოდლე ჯორჯია	8 254	0
დანარჩენი	138 590	283 281
სულ	402 884	537 847

7.მიღებული ავანსები	31.12.2023	31.12.2022
შპს ბაირონი	0	50 600
შპს ბრიტანული ცენტრი	1 034 300	0
შპს მეინ ქონსტრაქშენი	49 219	0
შპს ნეპტუნი	0	21 966
შპს სანაპიროს ხედი	0	28 289
შპს სტუდია 9	0	1 200
შპს ქიაჩელი რეზიდენსი	1 725	22 604
შპს ქონქრით სოლუშენი	0	83 827
სს Hualing international special economic zone	52 502	0
შპს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი - შპს კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	241 190	17 684
შპს არქი ჰოთელს	45 878	0
შპს ბაგრატიონი რეზიდენსი	27 558	0
შპს ბათუმი თაუერი	66 617	86 819
შპს გურუ ქონსტრაქშენ	23 229	0
შპს დნთ ქონსტრაქშენ	46 423	0
შპს დომსონს ინჯინიარინგ	55 450	53 756
შპს ემ-ი-პი სოლუშენს	189 458	0
შპს თბილისი სითი	0	26 512
შპს კალატოზი	73 135	0
შპს ლაიქ ჰაუსი	74 242	0
შპს ლეჩკომბინატი #1	33 643	0
შპს მაქრო ქონსტრაქშენ	2	14 307
შპს ქლინ ლაინი	215 763	0
შპს ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი	9 248	311 478
დანარჩენი	508 111	470 127
სულ	2 747 693	1 189 168

8.შემოსავალი/თვითღირებულება	31.12.2023	31.12.2022
შესრულებული სამუშაო/მომსახურეობა	2 863 583	11 478 211
საქონლის გაყიდვა	561 119	795 469
შესრულებული სამუშაოს/მომსახურეობის თვითღირებულება	1 850 099	7 295 131
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	490 049	527 778

9.ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	31.12.2023	31.12.2022
მივლინების ხარჯები	5400,39	5208,25
ტრანსპორტირების ხარჯი	2850	2379
იჯარის ხარჯი	17521,01	36232
საკანცელარიო ხარჯები	1156,28	453
კომუნალური მომსახურების ხარჯი	2289,97	4607,66
კომუნიკაციის ხარჯი	2199,51	1011,63
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურება	1200	4705,94
საბანკო მომსახურება	8575	25239
საწყობის და სხვა ხარჯი	355480,84	172616
სულ	396673	252452

10.საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

შპს აი სი ტი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	მთლიანი კაპიტალი
31.12.2021 წ		-240222	-240222
წმინდა მოგება/ზარალი			
გაცემული დივიდენდები			
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება			
31.12.2022 წ		3230676	3230676
წმინდა მოგება/ზარალი		4165014	4165014
გაცემული დივიდენდები		-694116	-694116
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება			
31.12.2023 წ		2863677	2863677
წმინდა მოგება/ზარალი		374054	374054
გაცემული დივიდენდები		-741053	-741053
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება			

კომპანიის კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება წინა წლების და მიმდინარე წლის გაუნაწილებელი მოგებისა .

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად მართვა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს მფლობელთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და მფლობელებისთვის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსურ ანგარიშგება მომზადებულია 27.10.2024წ

დირექტორი გ.წიწრიაშვილი

